# ხელშეკრულება აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ № 35-02/18

(ხელშეკრულება დადებულია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე)

ქ.ქუთაისი "21" ივნისი 2017წ

- შემსყიდველი: ააიპ ქ.ქუთაისის „მადლიერების სახლი" ( ს/კ412682119)
- მისამართი - დუმბაძის ქ.N 60
- საბანკო რეკვიზიტები:
- მიმწოდებელი <u>შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვის ცენტრი“,</u>

<u>საიდენტიფიკაციო კოდი №412670097</u>.

- მისამართი. ტელეფონი: ქ. ქუთაისი, ზუზუნავას ქუჩა №12.
- დირექტორი: ირაკლი ტურძელაძე

– საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი„ ბ/კ: LBRTGE22, ა/ა: GE77LB0113123325230012.

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## I. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს წყალმზომი კვანძების მოწყობის სამუშაოები : ქ.ქუთაისი დუმბაძის ქ.N 60

1.1 თანახმად შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებისა (<u>დანართი №1</u>).

## ხელშეკრულების ღირებულება

1.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს:

<u>101,34 (ასერთი ლარი 34თეთრი) ლარი .</u>

(ციფრებით და სიტყვიერად)

1.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს სამუშაოების შესრულებასთან.

1.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 2. მომსახურების გაწევის წესი და ვადები

2.1. ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს სამუშაოები 10 სამუშაო დღის განმავლობაში

2.2. შესრულებული მომსახურება დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

2.3. შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს (ფორმა № 2)-ის საფუძველზე.

## 3. ანგარიშსწორების წესი

3.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს, ფორმა №2-ში განსაზღვრული ღირებულება, სამუშაოს შესრულების შემდეგ **5** კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. (საგადასახდო ა/ფაქტურა).

3.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

3.3. გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

## 4. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

## 5. ფორს-მაჟორი

5.3. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

5.4. ამ მუხლის ფარგლებში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა

5.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. სხვა პირობები

6.3. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **ერთი თვის ვადაში.**

6.4. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

6.5. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.6. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან

ააიპ ქ.ქუთაისის „მადლიერების სახლი" ( ს/კ412682119)

დირექტორი რევაზ ჩახუნაშვილი

---

შემსრულებლის მხრიდან

შპს 'საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ქუთაისის სერვის ცენტრის დირექტორი

ირაკლი ტყირმელაძე

---

# ხარჯთაღრიცხვა №1

ქქუთაისში ნინოშვილის ქ. №60-ში (ააიპ „მადლიერების სახლი“) დასამონტაჟებელი დ-15მმ-იანი წყლისმზომის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

| № | შიფრი | სამუშაოს დასახელება | განზ. ერთ. | ნორმა ერ-ზე | რაოდენობა | მასალები | | ხელფასი (ლ) | | მანქანა-მექანიზმები (ლ) | | სულ (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ერთეულის | ჯამი | ერთეულის | ჯამი | ერთეულის | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 2 | 16-19-1 მიყენებით | წყალმზომი კვანძის მოწყობა დ-15მმ | კვანძი | | 1 | | | | | | | |
| 3 | | შრ. დანახარჯები | კაც/სთ | 5.68 | 5.68 | 1 | 5.68 | 4.6 | 26.13 | | | 31.81 |
| 4 | | სხვა მანქანა | ლარი | 4 | 4 | 1.00 | 4.00 | | | 3.2 | 3.20 | 7.20 |
| 5 | 1 | მრიცხველი წყლის დ-15 მმ | ც | 1 | 1 | 27.98 | 27.98 | | | | | 27.98 |
| 16 | | სხვა მასალა | ლარი | 1.300 | 1.0 | 3.20 | 3.20 | | | | | 3.20 |
| 17 | | სულ (პირდაპირი ხარჯის ჯამი) | | | | | 40.86 | | 26.13 | | 3.20 | 70.19 |
| 18 | | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | | 7.02 |
| 19 | | ჯამი | | | | | | | | | | 77.21 |
| 20 | | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | | 6.18 |
| 21 | | ჯამი | | | | | | | | | | 83.38 |
| 22 | | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3% | | | | | | | | | 2.50 |
| 23 | | ჯამი | | | | | | | | | | 85.88 |
| 24 | | დღგ-ს გადასახადი | 18% | | | | | | | | | 15.46 |
| 25 | | სულ | | | | | | | | | | 101.34 |

ქუთაისის სერვის ცენტრის დირექტორი: ი. ტურძელაძე

ქუთაისის სერვის ცენტრი
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA LLC
412670097

21/06/2017 წელი.

ქ. ქუთაისი

მიღება–ჩაბარების № 01/06

ა ქ ტ ი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ქუთაისის სერვის ცენტრის დირექტორმა ირაკლი ტურძელაძემ, შემდგომში "ჩამბარებელი" და მეორეს მხრივ, ააიპ ქ.ქუთაისის "მადლიერების სახლი"-ის დირექტორი რევაზ ჩახუნაშვილი შემდგომში "მიმღები" არსებული ხელშეკრულება № 35-02/18-ის საფუძველზე ჩამბარებელმა ჩააბარა, ხოლო "მიმღებმა" ჩაიბარა 15 მმ წყლის აღრიცხვის კვანძი – ერთი ერთეული, რომლის მონტაჟის ღირებულებამ შეადგინა 101.34 (ასერთი ლარი და 34 თეთრი) ლარი.

რაზედაც ხელს ვაწერით:

"ჩამბარებელი" ——————————— ი. ტურძელაძე

" მიმღები" ——————————— რ. ჩახუნაშვილი